სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

ჩვენ შესახებ

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ (ს/კ 204582521) (შემდგომში „სააგენტო“; „ჩვენ“) არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის მოქმედებს, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

მისამართი: ინოვაციების ქუჩა #7 ოქროყანა, თბილისი, 0114

ვებ-გვერდი: www.gita.gov.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი: ნინო ტაგანაშვილი; ntaganashvili@gita.gov.ge

შესავალი

სააგენტო იცავს და პატივს სცემს თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს თქვენ, მონაცემთა სუბიექტებს, მოგაწოდოთ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავების ზოგად პროცედურებსა და პრინციპებზე, რომლებსაც ვეყრდნობით საქმიანობის პროცესში, განგიმარტოთ მონაცემთა დამუშავების მიზნები, კატეგორიები, მოცულობა, თქვენი უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი საშუალებები.

პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

ვისთვის არის გამიზნული დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტი ეხება:

- ყველა იმ [ფიზიკურ] პირს, რომელიც იყენებს სააგენტოს ვებსაიტს - www.gita.gov.ge; საგრანტო პორტალს - www.grants.gov.ge; სასწავლო პორტალსა - www.doit.gov.ge და ინოვაციების სტატუსების პორტალს - www.innovationstatus.gov.ge.
- მათ, ვინც მონაწილეობს სააგენტოს მიერ დაგეგმილ, განხორციელებულ და მხარდაჭერილ პროექტებში/პროგრამებში აპლიკანტის, ბენეფიციარის თუ ვიზიტორის სტატუსით;
- მათ, ვინც „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული ინოვაციური სტარტაპის სტატუსის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსისა და კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მოსაპოვებლად სააგენტოს მიმართავს განაცხადით ან/და მათ, ვინც „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ „ინოვაციების რეესტრში“ დასარეგისტრირებლად შესაბამის მოთხოვნას წარუდგენს სააგენტოს ან/და რეგისტრირდება ინოვაციების სტატუსების პორტალზე „მომხმარებლად“ - www.innovationstatus.gov.ge;
- მათ, ვინც მონაწილეობს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, მათ შორის, დასაქმების მსურველებს;
- მათ, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებში უკვე მონაწილეობდა და შესაბამისი მიზნითა და განსაზღვრული ვადით მათი მონაცემები ჯერ კიდევ ინახება სააგენტოში;
- სააგენტოსთან საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომსახურების/სერვისის მიმწოდებლის, მხარდამჭერი ან პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებსა და საკონტაქტო პირებს;

- ტექნოპარკების მიერ შეთავაზებული ფასიანი სერვისების მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და საკონტაქტო პირებს;
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში, აპლიკანტი/ბენეფიციარი კომპანიის წარმომადგენლებსა და საკონტაქტო პირებს;
- ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის ფარგლებში, ინდუსტრიული პარტნიორი კომპანიების/დაწესებულებების წარმომადგენლებსა და საკონტაქტო პირებს;
- სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც, საკუთარი სურვილით აწვდიან სააგენტოს პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა მიზნით.

მიზანშეწონილია, ბოლომდე გაეცნოთ წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტს, რათა სრულად იყოთ ინფორმირებული სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემთა დაცვის წესების შესახებ.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ

- თქვენი პერსონალური ინფორმაცია დამუშავდება კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
- თქვენი პერსონალური ინფორმაცია დამუშავდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი და დამუშავების თავდაპირველ მიზანთან თავსებადი მიზნით;
- თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;
- ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენ მიერ მოთხოვნილი პერსონალური ინფორმაცია უნდა იყოს დამუშავების კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის შესაბამისი, ადეკვატური და პროპორციული;

- ჩვენ ვიაზრებთ, რომ მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს;
- ჩვენ თქვენს პერსონალური მონაცემებს დავამუშავებთ და შევინახავთ მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია დამუშავების მიზნ(ებ)ის მისაღწევად;
- ჩვენ მივიღებთ ყველა გონივრულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომას, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას მათი დამუშავების პროცესში;
- ჩვენ მზად ვართ, მოთხოვნის შემთხვევაში, პროაქტიულად მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვა რელევანტურ ასპექტებთან დაკავშირებით.

რა მიზნით ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

თქვენი პერსონალური ინფორმაცია მუშავდება ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნით:

- გრანტების გაცემისა და საგრანტო განაცხადების გრანტების პორტალზე მიღების, შეფასებისა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის მიზნით; გრანტების გაცემის კომპონენტში, დაფინანსებული პროექტებისთვის თანხის გადარიცხვის მიზნით;
- ინოვაციური სტარტაპის სტატუსის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსისა და კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადების მიღების (რომელიც მოიცავს განაცხადის საფასურის გადახდას), განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისა და სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის მიზნით;
- „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ „ინოვაციების რეესტრში“ დასარეგისტრირებლად განაცხადების მიღების (რომელიც მოიცავს განაცხადის საფასურის გადახდას), განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის

დადგენისა და „ინოვაციების რეესტრში“ რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

- სააგენტოს პროგრამების ფარგლებში, მონაწილეების შეფასებისა და გამარჯვებულების შერჩევის მიზნით;
- კომუნიკაციის მიზნებისთვის, პროგრამების დაწყების, მიმდინარეობის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- დაინტერესებული პირების მომართვის შემთხვევაში, კონსულტაციის გაწევის მიზნით;
- სააგენტოს ინიციატივების ფარგლებში, დაინტერესებული პირებისთვის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული და ბიზნეს განვითარების შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით;
- პარტნიორებთან/დიპლომატიურ კორპუსთან კომუნიკაციის მიზნებისთვის, მათ მიერ დაფინანსებული პროგრამების, ინიციატივებისა და პროექტების განხორციელების სტატუსთან დაკავშირებით, ანგარიშგების მიზნით;
- ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის ფარგლებში, პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმოების, შეხვედრების ორგანიზებისა და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით;
- ანალიტიკური კვლევებისა და სტატისტიკის მომზადების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს მიერ შემუშავებული ან სააგენტოს ადმინისტრირებადი ცალკეული პროგრამების/მხარდამჭერი მექანიზმების ფარგლებში, მიღწეული შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას;
- არსებული პროგრამების/მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურობის შეფასების მიზნით;

- საგანმანათლებლო ან სხვა პროექტებზე აპლიკანტების კვალიფიკაციის შეფასების მიზნით;
- მონაცემთა სუბიექტთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით;
- Do IT in Georgia-სა და Do IT with the EU პროგრამაში ჩართვისთვის, ვაუჩერების გაცემის მიზნით;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში შემოსული კორესპონდენციის წარმოების მიზნით;
- კერძო სექტორის მხრიდან, სააგენტოს ბენეფიციარი სტარტაპებისთვის სპეციალური შეთავაზებების გაზიარების მიზნით, შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში;
- დეპარტამენტ(ებ)ის პროექტ(ებ)ისთვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისთვის, ბაზრის კვლევის ჩატარების მიზნით;
- სააგენტოს მიერ ორგანიზებულ/თანაორგანიზებულ ღონისძიებებზე პირთა მოწვევის მიზნით;
- პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, ვიდეომონიტორინგის განხორციელების ფორმით, სააგენტოს შენობაში;
- სააგენტოს ლეგიტიმური ინტერესის ან/და სამართლებრივი უფლებების დასაცავად, მათ შორის, ადმინისტრაციული წესით სამართალწარმოების მიზნებისთვის;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნებისთვის;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნქციების შესასრულებლად ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას;

- სააგენტოს პროექტებში ჩართულ პირთა ფოტოები მუშავდება მარკეტინგული მიზნით ფოტოების/ვიდეოების სოციალურ ქსელში/ვებგვერდზე, ბროშურებსა და პრეზენტაციებში განთავსებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით პირი წინასწარ გამოხატავს თანხმობას ამისთვის სპეციალურად შემუშავებულ თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით.

რა კატეგორიის მონაცემებს ვაგროვებთ თქვენ შესახებ და რა გზით მოვიპოვებთ მათ

თქვენ შესახებ ინფორმაციას მოვიპოვებთ:

- მომსახურებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით, თქვენი მომართვის შემთხვევაში (სატელეფონო კომუნიკაცია, მათ შორის, სააგენტოს ცხელ ხაზზე დაკავშირება; ელექტრონული (სოციალური მედიის პლატფორმებზე) ან/და ელექტრონულ ფოსტაზე - info@gita.gov.ge მიმოწერა; სააგენტოს თბილისის ოფისსა ან რეგიონულ ტექნოპარკებში ვიზიტი, ფოსტით ან საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით კომუნიკაცია);
- ჩვენს პორტალებზე რეგისტრაციის პროცესში;
- თქვენ მიერ ჩვენი მომსახურებით/პროექტებით/პროგრამებით/მხარდამჭერი მექანიზმებით სარგებლობისას;
- შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას და საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების/თანხმობის საფუძველზე მესამე პირებისგან და ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორებიცაა შემოსავლების სამსახური და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ **ავტომატურად** ვამუშავებთ:

როდესაც თქვენ სტუმრობთ ჩვენს ვებსაიტს - www.gita.gov.ge და წინამდებარე დოკუმენტში ნახსენებ პორტალებს, ჩვენ შესაძლოა ავტომატურად დავამუშავოთ ინფორმაცია, თქვენი IP მისამართის, მოწყობილობის ტიპის (IOS/Android), ბრაუზერის ტიპის, ფართო გეოგრაფიული ლოკაციის (მაგალითად, ქვეყანა/ქალაქი) შესახებ, ასევე, აპლიკაციის ლოგები და სხვა ტექნიკური ინფორმაცია. ჩვენ, ასევე, შესაძლოა დავამუშავოთ ინფორმაცია, თუ როგორ ახდენს თქვენი მოწყობილობა ჩვენს საიტთან ინტეგრაციას, მაგალითად, რა გვერდებს სტუმრობთ და რა ბმულებზე გადადიხართ.

ჩვენ ამ სახის ინფორმაციას ვაგროვებთ შიდა ანალიტიკის მიზნებისთვის, რათა გავაუმჯობესოთ ვიზიტორებისთვის ჩვენი ვებ-გვერდის შინაარსი და ფუნქციონირების ხარისხი.

ასევე, ჩვენ ავტომატურ რეჟიმში ვამუშავებთ ინფორმაციას სააგენტოს შენობაში გარკვეულ სივრცეებში ვიდეომონიტორინგის სისტემის მეშვეობით უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით. ჩანაწერები იშლება „სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესით“ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად და დადგენილ ვადაში.

ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო **არაავტომატურად** ამუშავებს:

- **საიდენტიფიკაციო მონაცემები**

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, პასპორტის ნომერი), ასაკი (თუ ასაკობრივი ჯგუფი), სქესი, მოქალაქეობა;

- **საკონტაქტო ინფორმაცია**

ტელეფონის ნომერი, მისამართი (ფაქტობრივი ან იურიდიული), ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტი, თუ სააგენტომ უნდა განახორციელოს ანგარიშსწორება მონაცემთა სუბიექტთან;

- **სოციო-დემოგრაფიული ინფორმაცია**

ინფორმაცია სამსახურის/პროფესიის, განათლების შესახებ, გეოგრაფიული განაწილების (რეგიონი) შესახებ, სოციალურად დაუცველის სტატუსის არსებობის შესახებ, გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრების სტატუსის არსებობის შესახებ, კონფლიქტით დაზარალებულის სტატუსის არსებობის შესახებ, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრების სტატუსის არსებობის შესახებ,[1] სტუდენტის სტატუსის არსებობის შესახებ, მოსწავლის სტატუსის არსებობის შესახებ;

- **ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია**

მშობლის სახელი და გვარი, რომელიც აცხადებს არასრულწლოვნის (16-წლამდე პირი) შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობას [მშობლის შემთხვევაში, ნაწილობრივ მუშავდება საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ზოგ შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საბანკო რეკვიზიტი, თუ სახეზეა ანგარიშსწორების შემთხვევა)];

- **შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული მონაცემები**

დამსაქმებლის სტატუსი, დაკავებული პოზიცია, [იშვიათ შემთხვევაში] სამსახურის მისამართი, დასაქმების სფერო/სექტორი, ხელმოწერა, ხელფასი/ანაზღაურება [გარკვეულ შემთხვევებში მოითხოვება მხოლოდ სახელფასო დიაპაზონის თაობაზე ინფორმაცია];

- **სააგენტოში დასაქმების მსურველთა ან პროექტში მონაწილეობის მისაღებად მოთხოვნილი ინფორმაცია**

რეზიუმე/CV, სარეკომენდაციო წერილი, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია

[1] *<u>შენიშვნა:</u>* სოციალურად დაუცველის, გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრების, კონფლიქტით დაზარალებულისა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრების სტატუსის შესახებ ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის, რათა უკეთ დავგეგმოთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართულობა სააგენტოს ინოვაციურ და სამეწარმეო პროექტებში. ამ ინფორმაციის მითითება ნებაყოფლობითია - თქვენ შეგიძლიათ არ მიუთითოთ ნებისმიერი ან ყველა ეს სტატუსი სარეგისტრაციო ფორმაში.

(დასაქმების ცნობა), უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სერტიფიცირების დამადასტურებელი ცნობა;

- **სააგენტოს პროგრამებში ფინანსური სარგებლის მიმღებ პირთა აქტივების შესახებ მონაცემები**

შემოსავლისა და ზარალი ოდენობა, მიღებული გრანტის ოდენობა, სხვა საგადასახადო ინფორმაცია, კერძოდ, ბოლო 12 თვის შემოსავალი;[2]

- **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები**

ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ეთნიკური უმცირესობის კუთვნილების შესახებ;[3] დასაქმების კონკურსში შერჩეული პირის შემთხვევაში - ცნობა ნარკოლოგიური შემოწმებისა და აღრიცხვიანობის შესახებ, ცნობა, რომ პირი არ არის სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

- **კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები**

---

[2] *<u>შენიშვნა:</u>* ფინანსური მონაცემები, როგორიცაა შემოსავალი, ზარალის ოდენობა, მიღებული გრანტები და საგადასახადო ინფორმაცია, მართალია, პირველ რიგში კომპანიის შესახებ ინფორმაციას წარმოადგენს, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ეს მონაცემები შეიძლება გადაიქცეს პერსონალურ ინფორმაციად, რომელიც შესაძლებელს ხდის პირების იდენტიფიცირებას. სააგენტოს მიერ პირთა იდენტიფიცირება შესაძლოა სახეზე იყოს: (1) როდესაც პროგრამებში მონაწილეობს ინდივიდუალური მეწარმეები, სადაც კომპანიის შემოსავალი პირდაპირ უკავშირდება მფლობელის შემოსავალს; (2) როდესაც ფინანსური მონაცემები კომბინირებულია სხვა ინფორმაციასთან, რაც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას (მაგ. გეოგრაფიული მდებარეობა, საქმიანობის სფერო, სამეწარმეო საზოგადოებაში ფლობილი წილი); (3) როდესაც მონაცემები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას გრანტის მიმღები პირის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი).

[3] *<u>შენიშვნა:</u>* ჩვენ, ასევე, შესაძლოა დავამუშავოთ ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (კერძოდ, პირი არის თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) და ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის კუთვნილების შესახებ. ეს ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის, რათა უკეთ დავგეგმოთ სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობა სააგენტოს პროექტებში. ვიაზრებთ, ამ მონაცემების სენსიტიურ ხასიათს და ვიჩენთ სიფრთხილეს. ამ ინფორმაციის მითითება სრულიად ნებაყოფლობითია - თქვენ შეგიძლიათ არ მიუთითოთ ეს მონაცემები სარეგისტრაციო ფორმაში.

ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო გზით, სოციალური მედიის ან სხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოპოვებული მონაცემები;

- **სააგენტოს პროგრამებში მონაწილე პირთა ფოტოები**

აღნიშნული მუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტი წინასწარ გამოხატავს თანხმობას ვიდეო/ფოტოგადაღებაზე სააგენტოს ღონისძიებების მიმდინარეობისას; ხოლო მასშტაბურ ღონისძიებებზე მონაწილეთა წინასწარი ინფორმირების გზით, მარკეტინგული მიზნით, ფოტოების/ვიდეოების სოციალურ ქსელში/ვებგვერდზე განთავსებისთვის, მხოლოდ შეზღუდული მოცულობით.

რა წარმოადგენს ჩვენ მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს

პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენებისთვის სააგენტო სამართლებრივ საფუძველს განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინფორმაციას ვაგროვებთ და რა გარემოებებში ხდება ეს შეგროვება. დამუშავების საფუძვლის შერჩევისას მხედველობაში ვიღებთ მონაცემთა დამუშავების მიზნებს, შეგროვებული მონაცემების კატეგორიებს, დამუშავების კონტექსტსა და გარემოებებს.

თქვენი მონაცემების დამუშავებისას, ჩვენ, ასევე, განვსაზღვრავთ პოტენციურ გავლენას (პოზიტიური და ნეგატიური), რაც შესაძლოა მოჰყვეს თქვენი მონაცემების დამუშავებას და ვიცავთ აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმს თქვენს უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები ავტომატურად არ გადასწონის თქვენს ინტერესებს.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს თუ გვაქვს ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი კანონიერი საფუძველი:

- **თანხმობა**

როდესაც თქვენ თავად გამოხატავთ აშკარა და ნებაყოფლობით თანხმობას, რომ თქვენი მონაცემები დამუშავდეს კონკრეტული, ჩვენ მიერ გაცხადებული ერთი ან რამდენიმე მიზნით;

- **მომსახურების გაწევის აუცილებლობა**

როდესაც თქვენი მონაცემების დამუშავება აუცილებელია თქვენთვის მომსახურების გასაწევად ან თქვენი განცხადების განსახილველად. ამ შემთხვევაში მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჭიროა დასახელებული ამოცანების შესასრულებლად;

- **სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება**

თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო წინარე მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად;

- **კანონისმიერი ვალდებულება**

როდესაც სააგენტოს კანონმდებლობა ავალდებულებს გარკვეული მონაცემების დამუშავებას;

- **სააგენტოს სამართლებრივი ვალდებულება**

როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია სააგენტოს სპეციფიკური ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მონაცემთა დამუშავება.

- **საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები**

თუ თქვენი მონაცემები უკვე კანონიერად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან თავად გახადეთ საჯარო;

- **საჯარო ინტერესი**

თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ

შორის, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

- ### ლეგიტიმური ინტერესი

როდესაც სააგენტოს ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად აუცილებელია მონაცემთა დამუშავება, თუმცა, ეს საფუძველი არ გამოიყენება, თუ არსებობს თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი, რომელიც გადაწონის ამ ლეგიტიმურ ინტერესებს.

თითოეული ზემოაღნიშნული საფუძვლის გამოყენებისას ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები, როგორიცაა კანონიერება, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, მიზნის შეზღუდვა, მონაცემთა მინიმიზაცია და სხვა.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობით.

როდესაც გთხოვთ პერსონალური მონაცემების მოწოდებას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ან ხელშეკრულების პირობების ფარგლებში, ყოველთვის მკაფიოდ გაცნობებთ, არის თუ არა აღნიშნული მონაცემების წარმოდგენა სავალდებულო. ასევე, დეტალურად განგიმარტავთ, რა სამართლებრივი ან პრაქტიკული შედეგები შეიძლება დადგეს მოთხოვნილი მონაცემების წარმოუდგენლობის შემთხვევაში. ეს ინფორმაცია მოგეწოდებათ წინასწარ, რათა შეძლოთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარების თაობაზე.

რა გარემოებებში გადავცემთ ინფორმაციას მესამე პირებს

- ### პროექტებისა და მომსახურების გაწევის მიზნით

ჩვენ შესაძლოა გავაზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან კონკრეტული პროექტების ან პროგრამების განხორციელებაში, თუ ეს აუცილებელია თქვენთვის მომსახურების მისაწოდებლად. ასეთ პირებს განეკუთვნებიან:

თანადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები; მომსახურების მიმწოდებლები; კონტრაქტორები და ზოგ შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორები.

ამ ნაწილში სააგენტო ითხოვს მესამე პირებისგან მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს, რათა უზრუნველყოს თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

- **საჯარო დაწესებულებებთან**

სააგენტო შესაძლოა ვალდებული იყოს გაუზიაროს პერსონალური მონაცემები საჯარო დაწესებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

(1) როდესაც ამას პირდაპირ მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა;

(2) სამართალდამცავი ორგანოების კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე;

(3) მარეგულირებელი უწყებების მოთხოვნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით; სასამართლოს განჩინების ან გადაწყვეტილების საფუძველზე;

(4) ჩვენი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, როდესაც ამას საჭიროებს სამართლებრივი პროცესი;

(5) როდესაც მონაცემთა გაზიარება აუცილებელია თქვენი ან სხვა პირების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

- **თანხმობის საფუძველზე ან ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით**

ზოგიერთ შემთხვევაში, მონაცემთა გაზიარება შესაძლოა განხორციელდეს:

(1) თქვენი მკაფიო, ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, თქვენ წინასწარ გეცნობებათ, თუ ვისთან და რა მიზნით ხდება მონაცემების გაზიარება და გექნებათ შესაძლებლობა, განაცხადოთ თანხმობა ან უარი;

(2) როდესაც მონაცემთა გაზიარება წარმოადგენს ადეკვატურ და რელევანტურ ზომას ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ აყენებს საფრთხეს თქვენს უფლებებსა და თავისუფლებებს.

სააგენტო იცავს მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპს და უზრუნველყოფს, რომ მესამე პირებს გადაეცეს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

როგორია მონაცემთა შენახვის ვადა/ფორმა და წაშლის პოლიტიკა

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავების პროცესში შეინახება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები ყველა შემთხვევაში განსხვავებულია და დამოკიდებულია მონაცემთა დამუშავების მიზანზე, მათი შეგროვების საფუძველსა და მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებზე.

როდესაც მონაცემთა შენახვის ლეგიტიმური საჭიროება აღარ იარსებებს, ჩვენ:

(1) სრულად წავშლით მონაცემებს ჩვენი სისტემებიდან; ან

(2) მოვახდენთ ფსევდონიმიზაციას; ან

(3) გავხდით მათ ანონიმურს - მოვახდენთ დეიდენტიფიკაციის პროცესს ისე, რომ შეუძლებელი გახდეს მათი დაკავშირება კონკრეტულ პირთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური მიზეზების გამო მონაცემების დაუყოვნებლივი წაშლა ან ანონიმიზაცია შეუძლებელია (მაგალითად, სარეზერვო ასლების შემთხვევაში), ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ უსაფრთხო შენახვას; მოვახდენთ ამ მონაცემების იზოლირებას

და გავმიჯნავთ ნებისმიერი აქტიური გამოყენებისგან და დავნერგავთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც გამორიცხავს ამ მონაცემების შემდგომ დამუშავებას.

რისი უფლება გაქვთ თქვენ

- **რა ინფორმაციის მოთხოვნა შეგიძლიათ**

თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს მოითხოვოთ და მიიღოთ სრული ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

(1) რომელი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება თქვენ შესახებ. კანონმდებლობა გაძლევთ უფლებას, იცოდეთ ზუსტად რა ტიპის ინფორმაცია ინახება თქვენ შესახებ ჩვენს სისტემებში;

(2) თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტული მიზნები. როგორც მონაცემთა სუბიექტს, გაქვთ უფლება მიიღოთ დეტალური განმარტება, თუ რისთვის გამოიყენება თქვენი პერსონალური ინფორმაცია;

(3) სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმადაც მუშავდება თქვენი მონაცემები. ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას, თუ რომელი კანონის, ხელშეკრულების ან თანხმობის საფუძველზე ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს;

(4) რა წყაროებიდან და რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები. თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ, თუ როგორ მოვიპოვეთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია;

(5) ვინ არიან მონაცემთა მიმღებები - გაცემულია თუ არა თქვენი მონაცემები მესამე პირზე. კანონი გაძლევთ უფლებას, იცოდეთ ყველა ის მხარე, ვისაც წვდომა აქვს თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე;

(6) მესამე პირებისთვის მონაცემთა გადაცემის შემთხვევაში - გადაცემის სამართლებრივი საფუძველი და მიზნები. თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ განმარტება,

თუ რატომ და რა სამართლებრივი საფუძვლით გადაეცა თქვენი მონაცემები სხვა ორგანიზაციებს ან პირებს.

(7) თქვენი მონაცემების შენახვის ვადა ან ამ ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები. როგორც მონაცემთა სუბიექტს, გაქვთ უფლება იცოდეთ, თუ რამდენი ხნით ინახება თქვენი პერსონალური ინფორმაცია.

- **მოთხოვნის წარდგენა და ვადები**

ინფორმაციის მიღების უფლებით სარგებლობისთვის შეგიძლიათ წარმოადგინოთ მოთხოვნა წერილობითი, ელექტრონული ან ზეპირი ფორმით.

ჩვენ ვალდებული ვართ მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა დადგენილია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს, რომ თქვენ დროულად მიიღოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაციის მოპოვება და მოწოდება მოითხოვს დამატებით ძალისხმევას, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. ასეთი გამონაკლისი დაშვებულია კანონით რთული ან მოცულობითი მოთხოვნების შემთხვევაში.

ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ მიიღებთ დასაბუთებულ წერილობით შეტყობინებას. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენ იყოთ ინფორმირებული მოთხოვნის დამუშავების პროცესის შესახებ.

- **ინფორმაციის მიწოდების ფორმა**

მოთხოვნილი ინფორმაცია მოგეწოდებათ გასაგები და მარტივი ენით. ჩვენ ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ რთული ტექნიკური ან იურიდიული ტერმინოლოგია, რათა

ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად გასაგები.

ინფორმაციას მიიღებთ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ან წერილობითი ფორმით, თქვენი არჩევანის შესაბამისად.

ძირითად შემთხვევებში, ეს მომსახურება გაგეწევათ უსასყიდლოდ, რაც გულისხმობს, რომ არ მოგიწევთ რაიმე საფასურის გადახდა თქვენი მონაცემების ასლების მისაღებად. თუმცა, გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა დაწესდეს გონივრული საფასური, როდესაც ამას პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა ან მოთხოვნა არის განმეორებითი ხასიათის და საჭიროებს არაპროპორციულ რესურსებს ჩვენი მხრიდან. ნებისმიერი საფასურის დაწესების შემთხვევაში, ის იქნება გონივრული და პროპორციული.

- **მონაცემთა გასწორებისა და დაბლოკვის უფლება**

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღმოაჩენთ, რომ მონაცემები არის არასრული, მონაცემები არაზუსტია ან შეიცავს შეცდომებს, ინფორმაცია არ არის განახლებული, მონაცემები შეგროვდა ან მუშავდება კანონის დარღვევით.

ჩვენ ვალდებული ვართ განვიხილოთ თქვენი მოთხოვნა და მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

დაბლოკვის მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან უარის საფუძვლების თაობაზე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის წარდგენიდან 3 სამუშაო დღისა.

- **მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება**

თქვენ უფლება გაქვთ, მოგვთხოვოთ თქვენს შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. ასეთ დროს ჩვენ მოვახდენთ რეაგირებას შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

- **მონაცემთა გადატანის უფლება**

თქვენ უფლება გაქვთ, კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, ჩვენგან მიიღოთ ინფორმაცია სტრუქტურიზებული, საყოველთაოდ აღიარებული და ტექნიკურად თავსებადი ფორმატით ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

- **ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის უფლება**

კანონმდებლობა განიჭებთ უფლებას, არ დაექვემდებაროთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე. ეს უფლება მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია გამოიწვიოს თქვენთვის სამართლებრივი ან სხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგები.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ მივიღებთ ყველა საჭირო ზომას თქვენი უფლებების, თავისუფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. ეს ზომები მოიცავს:

(1) ადამიანური რესურსის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილება არ იყოს მიღებული მხოლოდ ავტომატიზებული სისტემ(ებ)ის მიერ;

(2) თქვენთვის შესაძლებლობის მიცემას, გამოთქვათ საკუთარი მოსაზრება გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც გულისხმობს უფლებას, წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია ან არგუმენტები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილებაზე;

(3) გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველყოფას, რაც საშუალებას გაძლევთ, გაასაჩივროთ ავტომატიზებულად მიღებული გადაწყვეტილება და მოითხოვოთ მისი გადახედვა ადამიანის მიერ.

- **თანხმობის გამოხმობის უფლება**

კანონმდებლობა გაძლევთ უფლებას, ნებისმიერ დროს მოახდინოთ წინასწარ გაცემული თანხმობის გამოხმობა.

გამოხმობა შესაძლებელია ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე. თქვენ არ ხართ ვალდებული ახსნათ, თუ რატომ აუქმებთ თანხმობას.

თანხმობის გამოხმობისთვის განცხადება უნდა წარედგინოს ორგანიზაციას წერილობით ან/და ელექტრონულ ფოსტაზე (info@gita.gov.ge ან dataprivacy@gita.gov.ge) მიმოწერით.

თანხმობის გამოხმობამდე, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს თანხმობის გაუქმებას. ჩვენ აღნიშნულს გაცნობებთ სრულად და გასაგებად.

- **თანხმობის გამოხმობის შედეგები**

თანხმობის გამოხმობის შემდეგ, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე:

მონაცემთა დამუშავება შეწყდება დაუყოვნებლივ, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლოა მონაცემების დამუშავება გაგრძელდეს აღნიშნული საფუძვლით, თანხმობის გამოხმობის მიუხედავად.

დამუშავებული მონაცემები წაიშლება ან განადგურდება მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

- **გასაჩივრების უფლება**

თუ თვლით, რომ დაირღვა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული თქვენი უფლებები ან არ იქნა დაცული მონაცემთა დამუშავების წესები, თქვენ უფლება გაქვთ საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და სააგენტოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

ცვლილებები და დამატებები

ჩვენი ვალდებულნი ვართ უზრუნველვყოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისობა როგორც საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ისე ჩვენს საოპერაციო პრაქტიკასთან. შესაბამისად, ვიტოვებთ უფლებას, პერიოდულად განვაახლოთ წინამდებარე დოკუმენტი.

დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, განახლებული ვერსია აისახება და ხელმისაწვდომი გახდება ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.gita.gov.ge. ცვლილებები ძალაში შედის მათი გამოქვეყნების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული თავად დოკუმენტში.

მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში, ჩვენ შეგატყობინებთ ამის შესახებ შესაბამისი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვებისა და თქვენი უფლებების რეალიზების მიზნით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ: dataprivacy@gita.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაგვიკავშირდით

Dataprivacy@gita.gov.ge

დოკუმენტი განახლებულია 2025 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით.